

განსხვავება ქუჩაში მცხოვრებ და მომუშვე ბავშვებსა და ოჯახურ
გარემოში მცხოვრები ბავშვების ინტერესებს შორის
ქეთევანი ბერიძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე სოციალური სამუშაოს მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

სოციალური სამუშაო

სამეცნიერო ხელმძღვანელი: შორენა სამაგლიშვილი MSW; PhD

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2016

განაცხადი

როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ქეთევანი ბერიძე ----- 27.06.2016

აბსტრაქტი

წარმოდგენილი ნაშრომი მოიცავს იმ განსხვავებების ჩვენებას, რაც ქუჩაში მცხოვრებ და მომუშავე ბავშვებსა და ოჯახურ გარემოში მცხოვრები ბავშვების ინტერესებს შორის არსებობს, იმის ჩვენებას თუ რა განასხვავებთ ამ ორ მოწყვლად ჯგუფს ერთმანეთისაგან, რა აქვთ საერთო დამახასიათებელი და რა განსხვავებული.

მოცემული კვლევა წარმოადგენს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტის სოციალური სამუშაოს სტუდენტის მაია ჯამბაზიშვილის, მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებელი კვლევის „ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვების ინტერესების კვლევა ფოტოვოისის მეთოდის გამოყენებით“ შედეგებით ანალიზს. ზემოაღნიშნული ორივე კვლევა წარიმართა ფოტოვოისის მეთოდის გამოყენებით.

მოცემული კვლევის მიზანია ოჯახურ გარემოში მცხოვრები ბავშვების ინტერესების, ცხოვრებისეული შეხედულებებისა და იმ ყოველდღიური გარემოსადმი დამოკიდებულებების უკეთ გაცნობა, რომელშიც მათ უწევთ ცხოვრება, რას თვლიან დადებითად და უარყოფითად მათ ცხოვრებაში, რა არის პოზიტივი მათთვის და რას მიიჩნევენ მათი ყოველდღიურობის მთავარ ასპექტად.

კვლევისას უშუალოდ გამოყენებულ იქნა Photovoice-ის მეთოდი, აგრეთვე ნახევრად სტრუქტურირებული პირისპირ ინტერვიუ. კვლევა ასევე მოიცავდა მონაწილეთა ბედნიერებისა და საკუთარ თავში დარწმუნების დონის განსაზღვრას, რისთვისაც გამოყენებულ იქნა შესაბამისი საკვლევი შკალები.

კვლევის შედეგად გამოიკვეთა შემდეგი მნიშვნელოვანი ასპექტები :

- როგორც ქუჩაში მცხოვრებ და მომუშავე ბავშვებს, ასევე ოჯახურ გარემოში მცხოვრებ მათივე თანატოლებს, აქვთ ნაკლები მიჯაჭვულობა სკოლასთან.
- სამეგობრო წრე, ორივე მოწყვლადი ჯგუფის ბავშვების ცხოვრებაში უმნიშვნელოვანეს როლს წარმოადგენს.
- ოჯახურ გარემოში მცხოვრები ბავშვები, ისევე როგორც ცენტრის სერვისით მოსარგებლენი, არიან უბრალოდ ბავშვები, თავიანთი ბავშვური ინტერესებითა და ოცნებებით, აქვთ საკუთარი მომავლის თითქმის იდენტური გეგმები.

- რელიგია და რწმენა არის ორივე მოწყვლადი ფენისთვის გამამდიერებელი და იმედის მომცემია, რელიგიური თემატიკა დასდევს კვლევის თითოეული მონაწილის ნამუშევრებს.
- ოჯახურ გარემოში მცხოვრებ ბავშვებს მიუხედავად იმისა, რომ მათთან არ შეიმჩნევა ოჯახთან გაწყვეტილი ემოციური კავშირები, ანდა კონფლიქტები შიგნით ნაკლებად გამოხატავენ ოჯახთან სიახლოვეს, ინტერვიუს დროს აცხადებდნენ, რომ ოჯახის წევრები ძალიან უყვართ, თუმცა არცერთი ფოტო ამის საილუსტრაციოდ არ გადაუღიათ.
- სკოლას და სწავლას ნაკლებად უჭირავს მნიშვნელოვანი ადგილი მათ ცხოვრებაში.
- ოჯახურ გარემოში მცხოვრებ ბავშვებს აქვთ მეტი პასუხისმგებლობა საზოგადოების მიმართ, ვიდრე ქუჩაში მცხოვრებ და მომუშავე ბავშვებს.
- ქუჩაში მცხოვრებ და მომუშავე ბავშვებს აქვთ კონკრეტული მომავლის იმედები ადრეული ასაკიდანვე დაკავშირებული კარიერულ წინსვლასთან, ვიდრე ოჯახურ გარემოში მცხოვრებ ბავშვებს, ისინი ჯერ კიდევ ფიქრობენ.
- გარემო და ეკოლოგიური სისუფთავე საერთო თემატიკაა ოჯახურ გარემოში მცხოვრები ბავშვების კვლევაში, ისინი საკუთარ ცხოვრებაში ნეგატივთან სწორედ დანაგვიანებულ გარემოს ასახელებენ, აღნიშნული არ შეიმჩნევა ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვების ნამუშევრებში.

კვლევის შედეგები მნიშვნელოვანია, რათა შემდგომ მოხდეს ბავშვების ინტერესების გათვალისწინება, მათი როგორც ინდივიდის უკეთ გაცნობა, მათი ინტერესების დანახვა და მათზე მორგებული უკეთესი სერვისების შეთავაზება.

ძირითადი საძიებო სიტყვები: ოჯახურ გარემოში მცხოვრები ბავშვები, ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვები, „საქართველოს კარიტასი“, მიჯაჭვულობა, პრივაცია, მონაწილეობითი კვლევა, შედარება, მსგავსება, განსხვავება, სტიგმა, ფოტოვოისი.

Abstract

The presented work contains demonstration of the difference existing between the interests of the children living and working in the street and those living in the family environment, showing the differences between these two vulnerable groups, the characteristics making the difference between them and those making them appear similar.

The research is a comparative analysis of the research performed by the Social Work Student of the Faculty of Science and Arts of Ilia State University Maia Jambazishvili performed for acquiring the Master's Academic Degree "Research of the Interests of the Children Living and Working in the Street Using the Method of Photovoice. Both the above researches were carried out using the Photovoice method.

The research aims at better familiarization with the interests, vision of life and approaches to the daily environment of the children living in the family environment in which they have to live, getting to know what they see to be positive and what they see to be negative in their life, what is positive for them and what do they consider to be the main aspect of their daily life.

The method of Photovoice was immediately used in the process of the research, as well as the half-structured direct interview. The research also covered definition of the level of happiness and self-confidence of the participants of the research, for which purpose the relevant scales of research were used.

The research revealed the following important aspects:

- Both the children living and working in the street and their peers living in the family environment have less attachment toward school.
- The circle of friends plays the most important role in the lives of both the vulnerable groups of children.
- The children living in the family environment as well as the service center beneficiaries are simply children with their child-like interests and dreams, having almost identical plans for their future.

- Religion and faith is strengthening and hope-giving for both the vulnerable layers, the topic of religion is prevailing in the works of each of the research participant.
- The children living in the family environment, despite the fact that the emotional links torn with their families are not noticeable here, and the inner conflicts express closeness to the family to a lesser degree, when taking an interview from them state that they love their family members very much, although they have not taken any single photo demonstrating this.
- School and study occupy less important place in their lives.
- The children living in the family environments show more responsibility toward the society than those living and working in the street.
- The children living and working in the street cherish specific hopes for their future that since the very early childhood are more connected to their carrier progress than those of the children living in the family environment, who still think about these.
- The topics of environment and ecology are common topics in the research of the children living in the family environment, who name contaminated environment as the negativity in their own lives, while the same is not observed in the work of the children living and working in the street.

The results of the research are important for future so that the interests of children be taken into consideration, they are better learnt as individuals, their interests are seen and noticed and they are offered the services that are better customized for them.

Key words of the research: The children living in the family environment, the children living and working in the street, Caritas Georgia, attachment, privation, research through participation, comparison, similarity, difference, stigma, Photovoice.